

Khevsuriani, L., *The Ancient Tropologion* (studied and prepared for publication by El. Metreveli, Ts. Chankiev and L. Khevsuriani), Tbilisi 1980. (In Georgian)

Khevsuriani, L., "On autographic list of Giorgi Mtatsmideli's version of Markhvani", *Literary studies*, Tbilisi 2005. (In Georgian)

Khoruzhy, S., *Towards the phenomenology of asceticism*, M. 1998. (In Russian)

Jghamaia, L., *Giorgi Mtatsmideli's Months (September)*. Published, and study, references and glossary provided by Lali Jghamaia. Tbilisi 2007. (In Georgian)

## ანდრია კრიტელის დიდი კანონის ქართული თარგმანები და კანონის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბების რამდენიმე ასპექტი

### ლაურა გრიგოლაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ანდრია კრიტელის "დიდი კანონი" სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ინტერესს ამ საგალობლისადმი რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. ამ კანონითაა შთაგონებული დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანი", მასთანაა დაკავშირებული ჩვენი მწერლობის სამი უდიდესი წარმომადგენელი: ექვთიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი და არსენ იყალთოელი, რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით თარგმნეს და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დაამკვიდრეს იგი. და, რაც მთავარია, დღეს ხდება ერთგვარი გადაფასება რელიგიურ-მისტიკური გამოცდილებისა, თვით ასკეტიზმისა, როგორც განსაკუთრებული ფენომენისა. პოსტმოდერნიზმისა და პოსტრუქტურალიზმის წარმომადგენლებიც კი ინტერესდებიან ასკეზის რაობით და აღიარებენ მას, როგორც პოზიტიურ მოვლენას. მეტიც: ასკეტიზმს მიიჩნევენ კულტურის, როგორც ასეთის, უნივერსალურ წინაპირობად, საფუძვლად, რომელიც განსაზღვრავს კულტურათა ნათესაობას და ქმნის შესაძლებლობას ამ კულტურათა შორის კომუნიკაციის დამყარებისა. აღიარებენ, რომ უნივერსალური ეთიკის საფუძვლები სწორედ ასკეტურ ლიტერატურაშია გამოკვეთილი და ამ პრინციპებს დღეს ინტელექტუალური ელიტა ახალს ვერაფერს ჰმატებს. ზოგი მეცნიერი იმასაც კი ფიქრობს, რომ ასკეზის ერთ-ერთ წამყვან, ძირითად მოტივთან სინანულთან დაკავშირებულ მძაფრ, რთულ, დრამატულ განცდათა მონაცვლეობას ტრაქტატებზე უკეთესად ლიტურგიული პოეზია გამოხატავს და დაბეჯითებით გვირჩევს, ჩავუღრმავდეთ ანდრია კრიტელის სინანულის საგალობელს, განთქმულ "დიდ კანონს" [16, გვ. 65].

ანდრია კრიტელის "დიდი კანონი" ქართულ ლიტურგიულ პრაქტიკაში XI საუკუნის I ნახევრიდან, კონსტანტინეპოლური ტიპიკონის შემოსვლასთან ერთად იწყებს დამკვიდრებას. ამდენად, ძველ ხელნაწერებში დაცული "დიდი კანონის" ქართულ თარგმანებში შემონახულია მისი არქაული სახე; ბერძნული მარხვანები კი ამ

საგალობლის შემცველ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შედარებით გვიანდელ ტრადიციას ემყარება. ესეც ზრდის “დიდი კანონის” ქართული თარგმანების მნიშვნელობას მედიევსტიკისთვის.

პირველი ცდა “დიდი კანონის” ქართულ ენაზე გადმოღებისა ექვთიმე მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული. მისი მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ ქართულ მეცნიერებაში ბევრი თქმულა და დაწერილა. განსაზღვრულია ანდრია კრიტელის “დიდი კანონის” ექვთიმესეული თარგმანის რაობაც. მნიშვნელოვანია, რომ ექვთიმეს თარგმანის შესახებ გვაქვს “დიდი კანონის” მთარგმნელთა (გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი) დეფინიციები, რომლებიც უმაღლესი კომპეტენციის გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამასთან, გიორგი მთაწმიდელისა და არსენ იყალთოელის შეფასებები ურთიერთთანხვედრია. რას გვაუწყებენ ისინი? ექვთიმე მთაწმიდელმა გამოტოვა “დიდი კანონის” ბიბლიური სახე-სიმბოლოები, ვითარცა გონებისა შემექცეველნი და ძნელად გასაგები (გეორგ. 5, 154v). მათ სანაცვლოდ სულის მასაზრდოებელი სინანულის დასდებლები შეჰმატა, რადგან ტექსტის შინაარსის სიზუსტის დაცვაზე მეტად ამას ესწრაფვოდა (გეორგ. 5, 159r). მას შეუცვლია ხმაც და ძლისპირებიც (იქვე).

ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი “დიდი კანონისა” მოცულობით თითქმის იდენტურია ანდრია კრიტელის ტექსტისა და თუ მაინც რჩება უკმარისობის განცდა მისი თარგმანის გამო, ეს გამოწვეულია მთარგმნელის დამოკიდებულებით ბიბლიური პარადიგმული სახეების მიმართ. აგრეთვე, “დიდი კანონის” ხმისა თუ ძლისპირებთან მიმართებაში გამოჩენილი თავისუფლებით. მაგრამ კვლავ გავიხსენოთ, როგორ განსაზღვრავს გიორგი მთაწმიდელი ექვთიმე მთაწმიდელის შემოქმედებით მიზანს: წმიდა მამა ექვთიმეს “დიდნი გალობანი” სავედრებელ წიგნად უთარგმნია (154v). ექვთიმეს ლოცვა-ვედრების გამომხატველი გალობები აინტერესებდა, ამიტომ მოჭარბებული სახე-სიმბოლოები და ბიბლიურ პერსონაჟთა სახელები გამოუტოვებია. ამასვე ამბობს არსენ იყალთოელიც ექვთიმეს თარგმანის შესახებ: მას გამოუტოვებია საღვთო წერილის სახეები და მათ ნაცვლად სულის მასაზრდოებელი სინანულის საგალობლები შეუმატებია (გეორგ. 5 147v).\*

ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი დღევანდელი კვალიფიკაციით, დინამიკური ეკვივალენტის ტიპისაა და ისღა დაგვრჩენია, დავეთანხმოთ კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ ექვთიმეს “საჭიროდ არ მიაჩნდა ბერძნული ტექსტის მონობაში ყოფილიყო, ის თავს უფლებამოსილად თვლიდა თავისებურად გაეაზრებინა ეს ტექსტები” [4, გვ.18].

“დიდი კანონის” გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის რაობაზე, მთარგმნელის მიზნებსა და ამოცანებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი ანდერძი, დართული მისსავე თარგმანზე “დიდი კანონისა”.

---

\* აქვე შეიძლება მოვიხმოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ჩვენი კონტექსტისათვის რამდენადმე საინტერესო მოსაზრება: “დიდ კანონში” დაუსრულებლად მონაცვლეობენ ძველი და ახალი აღთქმის სახეები, რედუცირებული უმარტივესი აზრობრივი სქემებით... მთელი “დიდი კანონი” თითქოს “მორალთა” კრებულია, მიმართული ათობით არარსებული იგავისადმი” [1, გვ. 254-255].

გიორგი მთაწმიდელი მიზნად ისახავდა შეედგინა სრული კრებული მარხვანისა და ზატიკისა, რომელიც ყოველგვარი ნაკლისგან უნდა გასწორებულიყო, რათა კათოლიკე ეკლესიის დამამშვენებლად წარმოდგარიყო. სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია გიორგის "დიდი კანონის" მეორედ თარგმნა, რათა ექვთიმესგან განსხვავებით სრულად გადმოეღო საგალობლის სახე-სიმბოლოები და ძველი და ახალი აღთქმის სახე-სახელები. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ გიორგის მეთოდი ძირითადად დედანთან სიახლოვეს გულისხმობდა [17, გვ. 27].

გიორგი მთაწმიდელს კიდევ ერთი საზრუნავი ჰქონდა: ექვთიმესადმი განსაკუთრებული კრძალვისა და პატივისცემის გამო აუცილებლად მიაჩნდა ექვთიმეს მიერ ჩამატებული სინანულის დასდებლების გადმოტანაც, რის გამო გიორგის თარგმანში უამრავი სახე და დასდებელი შემოსულა. გიორგი ათონელი იმედს გამოთქვამს, რომ "თუმცა დასდებლები მომრავლებულა, მაგრამ მოსაწყენი არ არის, პირიქით, მშვენიერი და მეტად სასურველნი არიან" (გეორგ.5, 154v). გიორგი ათონელის თარგმანი სინანულის კანონისა მოცულობით მართლაც აღემატება როგორც ექვთიმესეულს, ისე არსენისეულს.

არსენ იყალთოელი კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას. იგი წინამორბედ მთარგმნელებს – ექვთიმე და გიორგი ათონელებს, უდიდეს ავტორიტეტებად მიიჩნევს. თუმცა ისიც იცის, რომ მათი თარგმანები დაცილებულია ანდრია კრიტელის ტექსტს, რის გამოც ორივე თარგმანი მძიმე ტვირთად შეჰქმნია სრულიად საქართველოს ეკლესიას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ არსენ ბერი ერთ-ერთი ინიციატორია ქართულ ეკლესიაში მიმდინარე ტიპიკონური ცვლილებებისა. სწორედ მისი თაოსნობით შემოდის ახალი რედაქცია ტიპიკონისა [6, გვ. 576]. ამ პროცესში ჩართულია მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელიც. სწორედ მას უბრძანებია მისთვის "დიდი კანონის" ხელახლა თარგმნა, ხოლო იოვანე ქართლის კათალიკოზისთვის ტექსტისთვის ხმის შეწყობა, რათა განახლებულ ეკლესიას "უნაკლო და წმინდა ჭემმარიტება მიაართვეას ყოველ მოტრფიალეს სიტყვისას" (გეორგ. 147.v).

არსენ იყალთოელმა ბრწყინვალედ გადაჭრა დასახული ამოცანა. მთარგმნელობით მეთოდს, რომელსაც იგი ეფუძნება, დღეს ფორმალური ეკვივალენტის ტიპს მიაკუთვნებენ, შეიძლება ითქვას, რომ არსენ იყალთოელმა შექმნა "დიდი კანონის" ზუსტი, იდენტური თარგმანი, ერთგვარი ორეული დედნისა. მან უცვლელად გადმოიტანა ორიგინალის ხმა, ძლისპირები, ბიბლიური სახე-სიმბოლოები, ტექსტის იდეური და მხატვრული შინაარსი. გიორგი მთაწმიდელი რომ უაღრესად ერთგულად მიჰყვება ტექსტს, ამას ამოწმებს ძველის სლავური თარგმანებიც და ამასთანავე, ძველი ბერძნულიდან ახალ ქართულ ენაზე გადმოღებული "დიდი კანონი" ანდრია კრიტელისა [7, გვ. 22-28].\*

---

\* ანდრია კრიტელის სამივე ქართული თარგმანის ტექსტი ვრცელი გამოკვლევითურთ მომზადებულია გამოსაცემად და ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში მიიღებს მას მკითხველი.

ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ “დიდი კანონის” სამივე ქართული თარგმანის შემცველ უნიკალურ კრებულზე, რომელიც დაცულია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს ხელნაწერია Par. georg.5. აკად. ელ. მეტრეველი და მე, როცა ერთობლივად ვმუშაობდით “დიდი კანონის” ქართულ თარგმანთა ტექსტების დადგენაზე, ვეფუძნებოდით სწორედ ამ ხელნაწერის როტოპირსა და მიკროფირს.

ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც ეკუთვნის გეორგ.5-ის პირველი მეცნიერული აღწერილობა, იმთავითვე შენიშნა, რომ “ამ წიგნში სამი სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერია მოქცეული ერთ ყდაში” [3, გვ. 32]. შემდგომმა კვლევამ დაადასტურა ე. თაყაიშვილის დაკვირვება. ხელნაწერში მართლაც გამოიყოფა სამი ხელი. პირველი ხელით დაწერილია ხელნაწერის უმთავრესი ნაწილი – 1-216 გვერდები. ეს ნაწილი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თითქმის სრულ მარხვანს და მისივე რედაქციის ზატიკის დასაწყისს, რაც თავდაპირველად – გეორგ.5-ის შედგენამდე ერთ წიგნად – მარხვან-ზატიკად უნდა არსებულებოდა [11, გვ. 269]. II და III ნაწილები (გვ. 217-222 და 222-292) ერთი მთლიანობაა და მარხვანის ახალ რედაქციადაა მიიჩნეული, მის შემდგენელ-რედაქტორად კი ეფრემ მცირე სახელდება [13, გვ. 15]. ის XI ს-ის 80-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი [11, გვ. 19].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ გეორგ. 5 ავტოგრაფული ხელნაწერი უნდა იყოს. წამოყენებული იქნა ანგარიშგასაწევი არგუმენტები: პირველწყაროებიდანაა ცნობილი, რომ გიორგი მთაწმიდელს მართლაც სრულად უთარგმნია მარხვანი და ზატიკი; საგალობელთა ძველი თარგმანების გვერდით საკუთარი თარგმანების მოტანა დამახასიათებელი იყო გიორგი მთაწმიდელისათვის, რომ მთელი ხელნაწერის აღნაგობა თანხვედრილია გიორგის მუშაობის პრინციპებთან (სიზუსტე, საგალობლებისთვის ავტორის მითითება, კრებითი ხასიათი კრებულისა, ანდერძ-მინაწერები) და სხვ. [11, გვ. 264-287]

ჩემი მხრივ დავუმატებდი, რომ გიორგი ათონელის რედაქციის მარხვანად მიჩნეულ ხელნაწერთა (გეორგ. 5-ის I ნაწილი, ათ. 59, ათ. 38, იერ. 61, იერ. 130-ის I ნაწილი) შორის მხოლოდ გეორგ. 5-ის ხელნაწერშია დაცული გიორგი ათონელის ძალზე მნიშვნელოვანი ანდერძი, რომელშიც ექვთიმე ათონელისა და თვით გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ “დიდ კანონთან” დაკავშირებული საინტერესო ვითარებაა აღწერილი.

მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისი არ აღმოჩნდა ყველასთვის მისაღები. გამოითქვა ეჭვი პარიზული ხელნაწერის ავტოგრაფულად მიჩნევის გამო და დაისვა კითხვები: თუ გეორგ. 5 მართლაც ავტოგრაფული ხელნაწერია, მაშინ რატომ არ არის იგი სრული, ან რით სარგებლობდა ათ. 38-ის გადამწერი, როცა მას თავის ხელნაწერში სხვადასხვა განგებები შეჰქონდა, რამდენად შესაძლებელია, რომ ავტოგრაფული ნუსხა ყოფილიყო გეორგ. 5-ისაგან განსხვავებული, შევსებული ყველა იმ მნიშვნელოვანი ნაწილებით, რომლებიც გეორგ. 5-ს არ გააჩნდა და სხვ. [15, გვ. 79-80].

დაშვებულ იქნა შესაძლებლობა, რომ გეორგ.5-ის გადამწერმა დედნად თვით ავტოგრაფული ხელნაწერი გამოიყენა [15, გვ. 81].

აღსანიშნავია, რომ გეორგ.5-ის შესწავლისას მხედველობის მიღმა დარჩა აღნიშნული საკითხისათვის მეტად საყურადღებო შენიშვნა – ერთი მინაწერი ამ კრებულისა.\*

პარიზულ ტექსტს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ”დიდი კანონისა” უძღვის ასეთი ზედწარწერა: ”სახელითა ღმრთისაჲთა. ესევე დიდნი გალობანი ანდრეა კრიტელისა თქმულნი და ჩუენ, გიორგი მთაწმიდელისა მიერ, მეორის გუერდსა აღწერილნი” (მეორეჯერ თარგმნილი) (გეორგ. 5, 127r). ტექსტის დასასრულს კი მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობაა მოწოდებული: ”დიდნი გალობანი” თარგმნილი მამა გიორგის მიერ მეწამული ზღვის გადალახვის საგალობლის კვალობაზე, ექვთიმეს თარგმნილზე უმჯობესად და უმშვენიერესად მივიჩნიე და ის გადმოვწერე, რადგან მათზე ბევრად საყვარელია” (გეორგ 5. 154v). შემდეგ ხელნაწერში მოთავსებულია გიორგი ათონელის ცნობილი ანდერძი.

ანალოგიური ინფორმაციის შემცველ მინაწერს მივაკვლიეთ ”დიდი კანონის” გიორგისეული თარგმანის შემცველ სხვა ხელნაწერშიც (იერ. 61 (XII-XIIIს.)). აქაც ტექსტს უძღვის სათაური: ”დიდნი გალობანი, თქმულნი ანდრია კრიტელისანი და ჩუენ მიერ მეორისა გუერდსა აღწერილნი” (მეორეჯერ თარგმნილი) (იერ. 61, 414r). ”დიდი კანონის” ტექსტის დასასრულს კი გადამწერი იმეორებს ზემოთ მოხმობილ მინაწერს: ”დიდნი გალობანი” თარგმნილი მამა გიორგის მიერ მეწამული ზღვის გადალახვის საგალობლის კვალობაზე, ექვთიმეს თარგმნილზე უმჯობესად და უმშვენიერესად მივიჩნიე და ის გადმოვწერე, რადგან მათზე ბევრად საყვარელია (იერ. 61, 468v).

ამ მინაწერებიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: სხვა არის ”დიდი კანონის” მთარგმნელი და სხვაა გეორგ. 5-ისა თუ იერ. 61-ის გადამწერი. გიორგი ათონელი საკუთარ ნაღვაწს ამგვარ შეფასებას არ მისცემდა, თანაც ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანთან მიმართებაში.

აქ ერთ კითხვასაც უნდა გაეცეს პასუხი: რა კავშირია გეორგ. 5-სა და იერ. 61-ში მოთავსებული ”დიდი კანონის” გიორგისეულ ტექსტებს შორის? უფრო სწორედ, რა დამოკიდებულებას ავლენენ გადამწერები ”დიდი კანონის” ტექსტის მიმართ? ამჯერად კითხვას ვუპასუხებთ ტექსტების არა დეტალური შედარებით, არამედ ზედაპირული, მაგრამ ჩემი აზრით, სერიოზული დატვირთვის მქონე მონაცემებით.

შენიშნულია, რომ გეორგ. 5-ის ტექსტი უჩვეულოდ იწყება: ”განგების ცალკე ელემენტის დაწყება სიტყვებით ”სახელითა ღმრთისაჲთა” ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში ჩვეულებრივ არ გვხვდება. ეს უფრო სათაურის ფორმაა, რომელიც განგების გარეთ ცალკე მოთავსებული საგალობლისათვის უნდა შეერჩია გიორგი

---

\* თავის დროზე, როცა ”დიდი კანონის” შემცველ ხელნაწერებზე ვმუშაობდი, მეც გამომრჩა აღნიშნული მინაწერი. ის ელ. მეტრეველმა შენიშნა და ჩემს მიერ გადაწერილ ტექსტს დაურთო მინიშნებით: ”ამას მოსდევს გადამწერის ცნობა” და მოიტანა მისი შინაარსიც.

\* იერუსალიმის ხელნაწერთა არცერთ აღმწერს (ა. ცაგარელი, ნ. მარი, უ. ბლეიკი) არ აქვს მითითებული, რომ ამ კრებულში შეტანილია ”დიდი კანონის” გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი. თავის დროზე ამ ლიტურგიული კრებულების დეტალური გაცნობის შედეგად მივაკვლიეთ მას.

მთაწმიდელს” [15, გვ. 82]. იერ.61-ის გადამწერს, ჩანს, უგრძნია ეს უხერხულობა და დასაწყისისთვის ჩამოუცილებია ”სახელითა ღმრთისაჲთა”.

იერ.61-ის გადამწერი, განსხვავებით გეორგ.5-ის გადამწერისაგან, საჭიროდ მიიჩნევს გიორგისეული თარგმანის ბოლოს კვლავ შენიშნოს: ”ესე დიდნი გალობანი მეწამული ზღვის გადალახვის საგალობლის კვალობაზე თარგმნილია მამისა გიორგის მიერ” და ამას მოაყოლებს ცნობას: ექვთიმეს თარგმანს გიორგის თარგმანი ვარჩიო. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მინაწერი აქვს გეორგ. 5-ის ტექსტსაც, მაგრამ გვგონია, რომ იერ. 61-ის გადამწერის ინფორმაციას ლოგიკური საფუძველი აქვს. მის წინაშე ორი თარგმანია: ექვთიმესი და გიორგისი, მათგან შეარჩია ერთ-ერთი (გიორგისეული) და მას დაურთო კიდევ შესაბამისი ახსნა-განმარტება.

გეორგ. 5-ის გადამწერს კი ასეთი არჩევანი არ გაუკეთებია. მან ორივე თარგმანი შეიტანა კრებულში და განაცხადი – გიორგის თარგმანი მამა ექვთიმეს თარგმნილზე უმჯობესად მივიჩნიე და ის გადმოვწერეო – ზედმეტი აღმოჩნდა.

გვგონია, რომ იერ. 61-ის გადამწერმა შეგნებულად თქვა უარი გიორგი მთაწმიდელის ვრცელ და უაღრესად მნიშვნელოვან ანდერძზეც, რომელიც გეორგ. 5-ში გიორგისეულ თარგმანს ახლავს, რადგან ეს ანდერძი უმთავრესად ”დიდი კანონის” ექვთიმესეულ თარგმანს მიემართება, მასთან კავშირში იხსნება მისი შინაარსი სრულად.

გეორგ.5 და იერ.61 ერთმანეთთან კიდევ ერთ მსგავსებას ავლენენ. ორივეგან ”დიდი კანონის” თარგმანებას ექვთიმე მთაწმინდელის ”აქებდითსა” აგვირგვინებს. გეორგ. 5-ში ის მოთავსებულია ”დიდი კანონის” ექვთიმესა და გიორგის თარგმანებს შორის, იერ.61-ში კი გიორგის თარგმანის ბოლოსაა. ”დიდი კანონის” შემცველ ადრინდელ თუ მოგვიანო ხანის ხელნაწერებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ყველგან შეტანილია ექვთიმეს თარგმანი აღნიშნული სტიქარონისა. იერ.56-ში კი, რომელიც შეიცავს ”დიდი კანონის” არსენ იყალთოელისეულ თარგმანს და მთავრდება ექვთიმეს თარგმნილი ”აქებდითსათი”, გვხვდება გადამწერის შენიშვნა: ”ამათ ახალთა აქებდითსა ააქუს (ასეა! – ლ. გ.), ჩუენ ეგრეცა დაუწერეთ ძუჭლთაგან” (იერ.56, 148).”აქებდითსას” ახალ თარგმანს მივაკვლიეთ A147 ხელნაწერში. ეს კრებული ახალი რედაქციის მარხვანადაა მიჩნეული. ვინ არის ამ სტიქარონის ახალი მთარგმნელი, არაა ცნობილი. შესაძლოა ის თვით არსენ იყალთოელს ეკუთვნოდეს. გიორგი მთაწმიდელს კი, ჩემი აზრით, არ უთარგმნია ”აქებდითსა”, რადგან ექვთიმეს თარგმანი ამ შემთხვევაში მის სრულ ნდობას იმსახურებდა.

გეორგ. 5-ის მნიშვნელობა, იქნება ის ავტოგრაფული ხელნაწერი თუ არა, განუზომლად დიდია. ჯერ ერთი, ის შედგენილია XII საუკუნეში. მასში, როგორც ეს გიორგი მთაწმიდელის შემოქმედებითი მეთოდისთვის იყო დამახასიათებელი, ”სრულადაა წარმოდგენილი ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის მონაპოვარი” (15,76). კრებული შეიცავს ”დიდი კანონის” სამივე ქართულ თარგმანს. გეორგ. 5-ის I ნაწილს კი აშკარად ატყვია გიორგი მთაწმიდელის, როგორც რედაქტორის, ხელი. აი, რა გვაქვს მხედველობაში:

1. ექვთიმე ათონელის თარგმნილი ”დიდი კანონის” შემცველი უძველესი ხელნაწერებია სინ.5 და სინ.75. ორივე ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში

განიხილება როგორც ერთ-ერთი წყარო გეორგ. 5-ში დაცული ლიტურგიული კრებულისა. სინურ ხელნაწერებში ექვთიმეს მიერ თარგმნილი "დიდი კანონის" სათაურია:

“გალობანი სინანულისანი, თქმულნი ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსისანი” სინ.5, 191v.

“გალობანი სინანულისანი, თქმულნი წმიდისა ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსანი” სინ.75,191r.

ხოლო პარიზულ ხელნაწერში მას “დიდნი გალობანი” ეწოდება:

“დიდნი გალობანი სინანულისანი, თქმულნი ანდრია კრიტელისანი, რომელ იყო იჭრუსალემით” – გეორგ.5\* (127r).

2. II გალობას სინ. 5-სა და სინ. 75-ში, განსხვავებით გეორგ. 5-ისაგან, არ აქვს მეორე ძლისპირი.

3. III გალობასაც, განსხვავებით გეორგ.5-საგან, ერთი ძლისპირი აქვს.

4. VI გალობას (დადადყავსა) – სინ. 5-სა და სინ. 75-ში არ ახლავს კონდაკი, გეორგ. 5-ში კი VI გალობის ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილია კონდაკის დასაწყისი სიტყვები: მეექუსესა კონდაკი ბ გ ი, “სულო ჩემო, სულო ჩემო” და ნეშტი საკითხავისაჲ” (გეორგ.5, 134r). ეს შენიშვნა განპირობებულია ქართული თარგმანის ბერძნულ ტრადიციასთან დაახლოების სურვილით.

5. ”დიდი კანონის” ტექსტს სამივე ქართულ თარგმანში ბიბლიურ საგალობელთა მუხლები ახლავს. ჩემი დაკვირვებით, ეს ტექსტები შეუმოკლებლად, სრული სახით მხოლოდ გეორგ.5-შია წარმოდგენილი. სხვა ხელნაწერებში, მათგან სინ.5-სა და სინ.75-ში, ამ მუხლების მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია მოტანილი სათანადო საგალობლებზე მიმანიშნებლად, გეორგ.5-ში კი, როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმეს თარგმანსაც კი სრული ტექსტები დაერთვის ამ მუხლებისა. რაც მთავარია, ეს ტექსტები სინ.5-სა და სინ.75-ში ბიბლიურ საგალობელთა წინათონურ ტრადიციას ემყარება, გეორგ.5-ში კი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

აშკარაა, გეორგ. 5-ის პირველი ნაწილის რედაქტორია გიორგი მთაწმიდელი (ან ნუსხა მომდინარეობს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან). ხოლო გიორგის განთქმული ანდერძი, როგორც ამას ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, ამ კრებულში ჩაწერილი უნდა იყოს თვით გიორგი მთაწმინდელის მიერ ”ფრიად წვრილის ნუსხა-ხუცურით, როგორც ჩვეულება იყო გიორგი მთაწმინდელისა” [3, გვ. 33].

”დიდი კანონის” უძველეს ქართულ თარგმანებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრებები კანონის, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბების რამდენიმე ასპექტზე.

კანონის აღმოცენების ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი. თუმცა ცნობილია, რომ ადრეულ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ფსალმუნებთან ერთად გამოიყენებოდა ცალკეული ბიბლიური გალობები. შემდეგში მათ დაურთეს ტროპარები, იგივე დასდებლები. ასე შეიქმნა ერთსაგალობლები, ორსაგალობლები, სამსაგალობლები... ხოლო კანონის – საეკლესიო პოეზიის ამ ახალი ჟანრის

---

\* ”დიდნი გალობანი” გიორგი ათონელის თარგმნილი ტექსტის სათაურიც.

მესაძირკველედ ანდრია კრიტელია (650-726 წ.) მიჩნეული. ”კანონთა მეფედ” აღიარებული მისი ”დიდნი გალობანი” ამ ჟანრის უძველესი ნიმუშია.

ცნობილია, რომ ბიბლიურ გალობათა შემცირება თოთხმეტიდან ცხრამდე (მოსეს და მარიამის გალობა, მოსეს მეორე გალობა, ანას გალობა, ამბაკუმ წინასწარმეტყველის გალობა, ესაია წინასწარმეტყველის გალობა, სამთა ყრმათა ორი გალობა, მარიამ ღმრთისმშობლისა და ზაქარიას გალობები) პირველად იერუსალიმურ პრაქტიკაში განხორციელდა. მთავარი ნაბიჯები ჰიმნოგრაფიული კანონის ჩამოყალიბებაშიც პალესტინაში გადაიდგა. ანდრია კრიტელის ”დიდი კანონი” შედგება სწორედ 9 გალობისგან, თითოეულს აქვს თავისი ძლისპირი (ირმოსი) და შესაბამისი დასდებლები (ტროპარები). ”დიდი კანონი” თავდაპირველად 210 ტროპარისგან შედგებოდა, შემდეგ მას ორმოცი ტროპარი შეჰმატებია და მოცულობითაც უნიკალურ საგალობლად ქცეულა ლიტურგიული პოეზიის ისტორიაში.

ყურადღებას იქცევს ”დიდი კანონის” რამდენიმე ასპექტი: ა) გალობათა უჩვეულო სიდიდე, ბ) გალობათა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოცულობა, გ) მეორე და მესამე გალობის ორ-ორი ძლისპირი (ირმოსი). კანონის ჩამოყალიბებული, დასრულებული სახისთვის სრულიად უცხოა მსგავსი ნიმუშები. რითაა განპირობებული ”დიდი კანონის” აღნიშნული თავისებურებანი? რა განსაზღვრავს მის ამ სპეციფიკას?

”დიდი კანონის” ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს კანონის არქაული სახე. კერძოდ, ყველა გალობას, ყველა ტროპარს გასდევს ბიბლიურ გალობათა მუხლები. დადასტურებულია, რომ საგალობლების თითოეულ ტროპარს დართული ბიბლიური გალობების მუხლებსა თუ ნახევარმუხლებზე მითითებანი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში დიდი იშვიათობაა. სპეციალისტებისთვის კი ცნობილია, რომ კანონის ცხრავე გალობის იდეურ-თემატური შინაარსი განსაზღვრულია ბიბლიური გალობებით. ეს კავშირი ნათელყოფს, როგორ იბადება, როგორ ამოიზრდება ბიბლიურ ტრადიციაში ახალი უნივერსალური ჟანრი – კანონი, იგივე გალობანი.\*

ბიბლიურ საგალობელთა მოცულობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ჩანს, ანდრია კრიტელი ”დიდი კანონის” გალობებს მოცულობითაც უფარდებდა ბიბლიურ გალობებს. არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი) განმარტავს: ”იოანე დამასკელის კანონები წმინდა ანდრიას კანონებთან შედარებით მოკლეა. თუ ეს უკანასკნელი ცდილობდა ბიბლიური საგალობლების ყველა გალობისთვის მიესადაგებინა

---

\* ს. ავერინცევი შენიშნავს, რომ V ს. ხელნაწერ სეპტუაგინტაში (ე. წ. Codex Alexandrinus), ფსალმუნებს დართული აქვს როგორც ძვ. აღთქმის, ასევე ახალი აღთქმის გალობათა (ἀδαι) ნუსხა. მაგრამ რამდენადაც სეპტუაგინტა მხოლოდ ქრისტიანული წერილობითი ტრადიციითაა ჩვენამდე მოღწეული, არ არის საშუალება გარკვეულ იქნას ბიბლიურ გალობათა ეს ანთოლოგია შედგენილია იუდეველთა გარემოში და ქრისტიან რედაქტორთა მეშვეობით შემდეგაა შევსებული, თუ საერთოდ თავისი არსებობით ახალგაზრდა ეკლესიის ლიტურგიული მოთხოვნებითაა განპირობებული, როგორც ამას ვარაუდობდა ვ. კრისტი [1, გვ. 213]. არსებითია, რომ ”ფსალმუნთა” ძველ ქართული თარგმანების X საუკუნის ხელნაწერებს სხვა დანართებთან ერთად ახლავს 9 ბიბლიური გალობის ეს ანთოლოგიაც [10, გვ. 411-445].

საგანგებო ტროპარები, დამასკელი შემოიფარგლებოდა ორი-სამი ტროპარით” [2, გვ. 38]. ბიბლიური გალობებისა და კანონის ტროპარების ერთმანეთთან შეწყობა განსაზღვრავდა კანონის გალობათა მოცულობასაც და მათი ერთმანეთისაგან სიდიდით განსხვავებაც. ე. ი. რაკი ყოველ გალობას ”დიდ კანონში” გასდევს ბიბლიურ საგალობელთა მუხლები, გალობა დაახლოებით იმ მოცულობისაა, სადამდეც გასწვდება მას ბიბლიური ფრაზეოლოგია. ამიტომაც, რომ ”დიდი კანონის” I გალობა შეიცავს 22 ტროპარს, IV გალობა – 27 ტროპარს, V გალობა – 20 ტროპარს, VI გალობა – 16 ტროპარს, IX გალობა – 25 ტროპარს...

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ანდრია კრიტელის ”დიდ კანონს” სხვა კანონებისგან კიდევ ერთი თავისებურება გამოარჩევს: გალობებს ორ-ორი ირმოსი (ძლისპირი) აქვთ. ახსნა ამ თავისებურებისა სამეცნიერო ლიტერატურაში არ შემხვედრია.

ბიბლიური საგლობლებისა და ”დიდი კანონის” ტექსტის ორგანული კავშირი, რომელიც თვალსაჩინოა ”დიდნი გალობანის” ქართულ თარგმანთა უძველეს ხელნაწერებში, ანგარიშგასაწევი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს.

კანონის II გალობა (”მოიხილესა”) დაკავშირებულია მოსეს მეორე გალობასთან (მეორე შჯ. 32,1-43). ესაა მოზრდილი საგალობელი, რომელიც აგვირგვინებს ხუთწიგნეულს. ბრძენი წინამძღვარი თავის ხალხს მაღალ ზნეობრივ პრინციპებს შეახსენებს და მათ მკაცრად დაცვას მოითხოვს. ამ ტექსტს მოსე წინასწარმეტყველის ანდერძად მიიჩნევენ. გალობა, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე ვრცელია და შინაარსობრივად ორ არათანაბარ ნაწილად შეიძლება გაიყოს: პირველი ნაწილი შეიცავს 38 მუხლს (1-38) და იწყება სიტყვებით: 1. ”მოიხილე, ცაო, და ვიტყოდი და ისმენდინ ქუეყანად სიტყუათა პირისა ჩემისათა. 2. მოელოდენ ვითარცა წვმასა თქუმასა ჩემსა, და გარდამოვედინ ვითარცა ცუარნი სიტყუანი ჩემნი, ვითარცა წვმად მწუანვილსა ზედა და თოვლი თივასა ზედა. 3. რამეთუ სახელსა უფლისასა ვხადე, მიეცით დიდებად ღმერთსა ჩუენსა” და ა. შ.

გალობის მეორე ნაწილი [32, გვ. 39-43] სრულიად ახალ ინტონაციაზეა აგებული. მასში წამყვანია მამხილებელი ტონი, თუმცა მის დამაგვირგვინებელ სიტყვებშიც წამოიწევს იმედისა და რწმენის ნათელი განწყობილება და შესაბამისი ინტონაცია. გალობის ეს მეორე მონაკვეთი იწყება სრულიად განსხვავებული შემართებით: ”იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არა არს სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე: მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო და ვსცე და მე განვკურნო, და არა არს, რომელმან განარინოს ჳელთაგან ჩემთა” (მეორე რჯ. 32, 39).

”დიდი კანონის” არსენ იყალთოელისეული თარგმანის II გალობის პირველი ძლისპირია: ”მოიხილე ცაო და ვიტყოდე და ვაქებდე ქრისტესა ქალწულისაგან მოსრულსა ჩუენდა”; ხოლო II ძლისპირი (სხუად ძლისპირი) არის: ”იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე, რომელმან მივეც მანანად და წყარონი კლდისაგან, წყარო ვყვენ უდაბნოს ერისათჳს ჩემისა, მხოლოდთა ძალითა და მარჯუენითა ჩემითა”. და რაც ძალზე არსებითია, I ძლისპირთან შეწყობილ ტროპარებს II გალობისა მიჰყვება მოსეს

ბიბლიური გალობის მუხლები I ნაწილიდან, ხოლო მეორე ძლისპირით გამართულ დასდებლებზე გადანაწილებულია II ნაწილის სათანადო მუხლები.\*

ანალოგიური ვითარება იკვეთება ბიბლიური ანას საგალობელშიც (I მეფ. 2,1-10), რომელიც წარმოთქმულია უფლის წინაშე უსაზღვრო მადლიერების გამოსახატავად. ღვთის დიდებასთან ერთად მასში გაისმის წინასწარმეტყველური პათოსით განმსჭვალული სიტყვებიც. ამდენად ამ გალობის ორ ნაწილად დაყოფაც ხერხდება: პირველი ნაწილი 5 მუხლს შეიცავს და იწყება სიტყვებით: "განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ, და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა მიერ". მეორე ნაწილიც 5 მუხლისაგან შედგება, მაგრამ ის სრულიად ახალი რიტმითა და ინტონაციით წარმოითქმის: "უფალი მოაკუდინებს და აცხოვნებს, შთაიყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს; უფალი დააგლახებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს"; შესაბამისად, "დიდი კანონის" III გალობის პირველი ძლისპირთან შეწყობილ ტროპარებს გასდევს ანას საგალობლის პირველი ნაწილის მუხლები, II ძლისპირზე აგებული ტროპარები კი გაწყობილია ანას გალობის II ნაწილის მუხლებით.

საინტერესოა, რომ სინ.5-ში III გალობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ აქვს II ძლისპირი და ამ მეორე ძლისპირის დასდებლები შეერთებულია I ძლისპირის დასდებლებთან. შესაბამისად, ანას ბიბლიური საგალობელი მთლიანად ნაწილდება 19 ტროპარისაგან შედგენილ III გალობაზე "დიდი კანონისა". სხვაგვარი სურათია არსენ იყალთოელის თარგმნილ ტექსტში. აქ მთარგმნელი ერთგულია ბერძნული ტრადიციისა, კანონის III გალობას აქვს ორი ძლისპირი და ბიბლიური გალობის ტექსტიც შესაბამისადაა განაწილებული.

ბიბლიურ გალობათა ამგვარმა ფუნქციურმა დატვირთვამ დაბადა კითხვა: თუ ბიბლიურ საგალობელთა და "დიდი კანონის" დასდებელთა შორის ასეთი ორგანული, ასეთი ცხადი კავშირია დამყარებული (ბიბლიური საგალობელი განსაზღვრავს გალობის მოცულობას, ორ-ორი ძლისპირის საჭიროებას, საგალობლის მთლიანი ტექსტის ბიბლიური საგალობლებით გამართვას), მაშინ რაღა იყო ძლისპირთა უმთავრესი დანიშნულება "დიდი კანონის" სტურქურაში? მას თავიდანვე რიტმულ-მელოდიური ფუნქცია ჰქონდა? ძეგლის სამივე ქართულ თარგმანში ძლისპირები თითქოს ატარებენ ამ დატვირთვას. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, "დიდი კანონის" შექმნისას რაგვარი იყო ძლისპირთა ხასიათი და უმთავრესი დანიშნულება. ჩვენამდე არ მოუღწევია არც "დიდი კანონის", არც იმ ეპოქის სხვა საგალობელთა შემცველ უძველეს ხელნაწერებს.

"უძველესი იადგარის" შესწავლის შედეგად მივიდნენ უაღრესად მნიშვნელოვან დასკვნამდე: "ბიბლიურ გალობებთან მაკავშირებელი პირველი სტროფის – ძლისპირის საჭიროება შეიქმნა იმის შემდეგ, რაც ბიბლიური გალობის დანართი სტროფები ჩამოსცილდნენ ბიბლიურ გალობებს და შეიქმნა ახალი ტიპის პოეტური კანონი, სადაც ყოველი გალობის პირველ სტროფს დაეკისრა პოეტური გალობის

---

\* ცნობილია, რომ კანონის კომპოზიციიდან ჰიმნოგრაფებმა დროთა განმავლობაში II გალობა ამოიღეს. მეცნიერები ამ ფაქტს სხვადასხვაგვარ ახსნას აძლევენ. იქნებ II გალობის სტრუქტურული თავისებურებაც იყოს ერთ-ერთი მიზეზი მისი ამოღებისა კანონის კომპოზიციიდან?

ბიბლიურ გალობასთან კავშირის გამოხატულება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყოველი ძლისპირი გარკვეულ ფარგლებში გალობათა პარაფრაზირებულ ტექსტზე ააგო. ასეთი ძლისპირები უძველესია იადგარისათვის” [14, გვ. 834]. არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი) იმასაც კი ვარაუდობს, რომ ირმოსი, თვით წმ. ანდრიას გამოგონილია [2, გვ. 35]. არ არის გამორიცხული ბიბლიურ გალობათა საგალობლებზე დართვის ტრადიციაც წმ. ანდრია კრიტელთან იყოს დაკავშირებული. სხვათა შორის, ”დიდი კანონისთვის” დამახასიათებელია ბიბლიურ გალობასთან დამაკავშირებელი რეფრენიც. ჩანს, ანდრია კრიტელმა, როგორც კანონის მესამირკველემ, სასულიერო პოეზიის ბიბლიასთან კავშირს მყარი საფუძველი ჩაუყარა და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრა პატრიარქთა მრწამსი: ”ჩვენს საგალობლებში მხოლოდ სიტყვებია სხვა, წმიდა წერილისგან განსხვავებული, თორემ არსებითად ჩვენ იმასვე ვგალობთ” [9, გვ.1].

ჩვენს მასალაზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ანდრია კრიტელისათვის ძლისპირების უმთავრესი ფუნქცია მაინც ბიბლიურ საგალობლებთან კავშირის დამყარებაა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ბიბლიურ საგალობლებთან კავშირზე მიუთითებდა ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) ტრადიციაში შემორჩენილი სახელწოდებანიც კანონის გალობებისა: უგალობდითსაჲ, მოიხილესაჲ, განძლიერდასაჲ, მესმადსაჲ, ღამითგანისაჲ, ღაღადყავისაჲ, აკურთხევდითსაჲ, ადიდებსაჲ.\*

მსჯელობის ამგვარად წარმართვა ანდრია კრიტელის ”დიდი კანონის” ხმისა და ძლისპირების მიმართ დიდი ქართველი მთარგმნელების, ექვთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის, თავისუფალმა დამოკიდებულებამ განაპირობა. ექვთიმე მთაწმიდელმა შეცვალა ”დიდი კანონის” როგორც ხმა, ისე ძლისპირები, გიორგი მთაწმიდელმა ხმა კი დედნისეული დატოვა, მაგრამ წმ. ანდრიას ტექსტი სხვა ძლისპირებზე გამართა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ხმის, როგორც დოგმატური საწყისის მნიშვნელობა ექვთიმე მთაწმიდელის შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა [8, გვ. 15]. რაც შეეხება ძლისპირებს, ცნობილია, რომ X საუკუნიდან ჰიმნოგრაფები ძლისპირებს თვითონ კი არ თხზავდნენ, არამედ მიმართავდნენ ძლისპირთა კრებულებს – ირმოლოგიონებს, ასე იქცევიათ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებიც. ისინი იყენებენ ქართულ ტრადიციაში უკვე ადაპტირებულ ძლისპირებს, რომლებიც შესულია X საუკუნის ალავერდის ანუ იორდანეს კრებულში (A 603). ”დიდი კანონის” მესამე მთარგმნელი კი სხვა რეალობის წინაშეა. მან თვითონ გადმოთარგმნა ანდრია კრიტელის ”დიდი კანონის” ძლისპირები. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ერთი და იგივე ძლისპირი ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა კანონში. ”დიდი კანონის” ძლისპირები, თარგმნილი

---

\* ცნობილია, რომ ამ სიტყვებით იწყება ბიბლიური საგალობლები და სახელწოდებაც მათ ეს სიტყვები დაუმკვიდრდათ, როგორც მიღებული იყო შუასაუკუნეების სამწიგნობრო ტრადიციაში. შდრ: Поим, Вонми, Утвердися, Услышах, От нощи, Возопих, Благословен еси, Благословите, Величит – ასეთია კანონის გალობათა სლავური სახელწოდებანი [5, გვ. 202].

არსენ იყალთოელის მიერ, ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წამროადგენს, როგორც ერთიანი ციკლი და მხოლოდ ამ კანონის კუთვნილება [8, გვ. 18]. "დიდი კანონის" ეს ძლისპირები შეტანილია A85 ხელნაწერში.

ამ კონტექსტში საგულისხმოა "დიდი კანონის" ტექსტს დართული ვრცელი ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა. მასში ძალიან მნიშვნელოვანი არაერთი ინფორმაციაა მოწოდებული: მაგალითად, რომ ექვთიმე მთაწმიდელს გამოუტოვებია "დიდი კანონის" ბიბლიური სახისმეტყველებანი, შეუმატებია სინანულის საგალობლები, განუვრცია ტექსტი და ა. შ., მაგრამ არაფერია ნათქვამი უმთავრესზე: ხმისა და ძლისპირების შეცვლაზე. სამაგიეროდ ამ ცვლილებებზე ვრცლად მსჯელობს არსენ იყალთოელი ამავე კანონის თავისსავე თარგმანის ანდერძში: ექვთიმე მთაწმიდელს "ვმისგანცა თვისსა და ძლისპირთაგან შეეცვალეს", ხოლო გიორგი მთაწმიდელს "დაღათუ ჳმაჲ არა შეეცვალა, გარნა თვისთა ძლისპირთა ზედა თარგმანჲ არცა მას გულს ედგინა" და სხვ.

დასასრულს, იქნებ არ იყოს ზედმეტი გავიხსენოთ ქართული ტერმინის – "ძლისპირის" ეტიმოლოგია, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს აკად. ვ. კეკელიძე და რომელიც დღეს რატომღაც მივიწყებულია. ძლისპირი შედგება ორი სიტყვისაგან: ძლის და პირი – შენიშნავს ვ. კეკელიძე. პირი აღნიშნავს დასაწყისს, ძლისძალის კი სიმს (ხუთძალი, ათძალი, ძნობა=ძლობა). მეცნიერი მოიხმობს ბიბლიის ქართულ თარგმანს: "და მოილო მარიამ წინასწარმეტყუელმან, დამან არონისამან, ზობლანი ჳელითა თვისითა, და განვიდოდეს ყოველნი დედანი მისთანა ზობლნებითა და (მ)(ძნობ(რ)ითა; უ-პირ-ობდა (Преднач) მათ მარიამ და ეტყოდა: "უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს (გამოსლ. XV, 20-22). ამრიგად, ძლისპირი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავს ჳიმნის პირველ, საწყის სიტყვას, შესრულებულს მუსიკალურ საკრავზე, ე. ი. პირველ სიმღერას" [5, გვ. 214]. ანდრია კრიტელის ეპოქაშიც ძლისპირის მთქმელი გალობის წამომწყები ხომ არ იყო? ძლისპირის გალობის ტონის განსაზღვრის ფუნქციაც ხომ არ ჳქონდა? ძლისპირის ამგვარ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს "დიდი კანონის" ორ-ორი ირმოსი, განსაზღვრული სწორედ ინტონაციურ შეფერილობათა სხვადასხვაგვარობით.

მთავარი ის არის, რომ ქართული კულტურის მესვეურებს – მეფე დავით აღმაშენებელს, ექვთიმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელს, არსენ იყალთოელს, იოანე ქართლის კათალიკოსს, გადამწერთა მთელ პლეადას უდიდესი მნიშვნელობა მიუნიჭებიათ წმ. ანდრია კრიტელის "კანონთა მეფედ" მიჩნეული საგალობლისთვის და ქართული ეკლესიის ლიტურგიულ პრაქტიკაში მისი ადაპტირებით ქართული სულიერი კულტურის სამირკველი განუმტკიცებიათ. "დიდი კანონის" უძველესმა ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს მისი არქაული სახე, რაც საშუალებას გვაძლევს ლიტურგიული პოეზიის ადრეული ეტაპების კვლევაში გარკვეული წვლილი შევიტანოთ.

**დამოწმებანი:**

Аверинцев С. У истоков поэтической образности искусства, *Другой Рим*, Санкт-Петербург 2005.

არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), *ლიტურგიკა*. (წიგნი რუსულიდან თარგმნა და ქართული მასალების გათვალისწინებით კომენტარები დაურთო ელისო კალანდარიშვილმა), თბ. 2009.

თაყაიშვილი, ექ. *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი*, პარიზი, 1933.

კეკელიძე, კ. *კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში*, თბილისი 1949.

კეკელიძე, კ. „Грузинский литургический словарь“, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი XIV*. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანიშვილმა), თბ. 1986.

კეკელიძე, კ. *ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I*, თბ. 1960.

კოპლატაძე, გ. ანდრია კრეტელი, *დიდი კანონი*. (ძველი ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გვანცა კოპლატაძემ), თბ. 2007.

მანაგაძე, ხ. *წმ. ანდრია კრეტელის „სინანულის კანონი“ და მისი ქართული ძლისპირები*, (ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი), თბ. 2006.

Флоренский Н. Н., *История Богослужбных песнопений православной католической церкви*, Киев 1881.

შანიძე, მ. *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით*. (გამოსცა მზექალა შანიძემ), თბ. 1960.

ხაჩიძე, ლ. „გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა“. *კრებული ივირონი – 1000*, თბ. 1983.

ხაჩიძე, ლ. *იოანე მინჩხის პოეზია*. (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ) თბ. 1987.

ხაჩიძე, ლ. *ეფრემ მცირის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ*, თბ. 2009.

ხევსურიანი, ლ. *უძველესი იადგარი*, (გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა) თბ. 1980.

ხევსურიანი, ლ. „გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის“, *ლიტერატურული ძიებანი*, თბ. 2005.

Хоружий С. К. *Феноменологии аскезы*, М. 1998.

ჯღამაია, ლ. *გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი)*. (გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ), თბ. 2007.